შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი

ნაშრომი შესეულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამართლის ფაკულტეტის მაგისტრი: **მალხაზ ჯანიაშვილი**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი **ვენედი ბენიძე**

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია ---------- 3

Annotation ---------- 4

შესავალი ----------5

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა ---------- 8

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი ---------- 13

2.1 პროკურატურა ---------- 13

2.1.1 პროკურატურის სისტემური რეფორმის მოკლე ანალიზი ---------- 13

2.1.2 პროკურატურის სისტემა და როლი სისხლის სამართალწარმოებაში ----- 17

2.1.3 პროკრატურის ამოცანები და საქმიანობის პრციპები ---------- 20

2.2 პროკურატურის სისტემა საზღვარგარეთის ქვეყნებში ---------- 25

2.3 პროკურორი ---------- 29

2.3.1 პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი ----------
29

2.3.2 პროკურორი არასრულწლოვანთა პროცესში ---------- 34

2.3.3 სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა ---------- 36

2.4 საპროცესო შეთანხმება ---------- 42

თავი III. კვლევის შედეგები ---------- 47

დასკვნა ---------- 50

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 53

დანართები ---------- 55

დანართი 1 ---------- 55

დანართი 2 ---------- 56

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, სახელმწიფო ბრალმდებლის როლის ანალიზი და მიმოხილვა ქართული კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მუდმივად განიცდის ცვლილებებს და რაც საზოგადოებასა თუ სამართლის სფეროში მუდამ განხილვისა და დავის საგანია.

ნაშრომი წარმოდგენილია 56 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდის სხით, რომელიც მოიცავს შესავალს, სამ თავს, რომლებიც დაყოფილი ქვეთავებად, ასევე დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერტურას.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე პირველი თავი ეძღვნება ლიტერატურის მიმოხილვას, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი ის ძირითადი ლიტერატურა, რომლებიც გამოყენებულია მოცემული ნაშრომის წარმოსაჩენად. მეორე თავი - ეს არის პრობლემის კვლევა/ანალიზი, რომელშიც განხილულია ზოგადად პროკურატურის სისტემის როლი და ფუნქცია, მისი ამოცანები და საქმიანობის პრინციპები, პროკურატურის სისტემა სხვადასხვა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ასევე ამავე თავში საუბარია პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის, როლსა და ფუნქციაზე. ამავე თავში საუბარია რამდენიმე პრობლემაზე, რომელიც იკვეთება პროკურორის საქმიანობის პროცესში. მესამე თავი, კვლევის შედეგი, ეხება წინა თავში წამოჭრილ პრობლემებსა და მათ შეჯამება - გაანალიზებას.

მოცემული ნაშრომი ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, პროკურატურის შესახებ საქართველოს ოეგანულ კანონს და სხვა ნორმატიულ აქტებს. ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას შეადგენს, ასევე, მეცნიერთა ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, პუბლიკაციები, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა და ინტერნეტ სივრცეში განთავსებული სხვადასხვა სტატიები და მასალები.

Annotation

The purpose of the presented paper is to analyze and review the role of the state prosecutor according to the Georgian legislation, which is constantly experiencing changes and is the subject of discussion and dispute in the field of law and justice.

The paper is presented with a compilation of 54 computer printed pages, which includes the introduction of three, which are divided into subchannels, as well as the conclusion and the used literature.

Based on the objectives set out, the first chapter is dedicated to the review of literature, which briefly describes the main literature used to present the work. The second chapter is a problem research / analysis that deals with the role and function of the general prosecution system, its tasks and principles of operation, the system of prosecution in various foreign countries. The same chapter deals with the prosecutor as a state prosecutor, role and function. The same chapter deals with a number of problems that are visible in the process of the prosecutor's activities. The third chapter, the outcome of the study, concerns the problems raised in the previous chapter and summarizes them.

This work is based on the Constitution of Georgia, the Criminal Procedure Code, the Georgian Law on Prosecutor's Office and other normative acts. The paper's information base is also the scientific works, scientific articles, publications, educational-scientific literature and various articles and materials placed in the Internet.

შესავალი

საქართველო დიდი წარსულისა და გამოცდილების ქვეყანაა, რომელიც მუდმივად განიცდიდა და დღემდე განიცდის ცვლილებებსა და რეფორმებს. წარმოდგენილ ნაშრომში, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, განვიხილავთ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს - პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლს. შევეხებით ასევე თვითონ პროკურატურის სისტემასა და ფუნქცია მოვალეობებს, როგორც საქართველოს, ასევე რამოდენიმე საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე. კვალდაკვალ განვიხილავთ პროკურატურის განვითარებისა და რეფორმის სტადიებს.

საზოგადოების უპირველესი მოთხოვნილებაა, ჰქონდეს უსაფრთხოების განცდა და ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე, მასში ყურადღება გამახვილებულია სწორედ აღნიშნული უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტის, პროკურორსა და მასთან დაკავშირებულ დებულებებზე. დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, პროკურორის ინსტიტუტი უმნიშვნელოვანესია და ის სათანადო ყურადღებას საჭიროებს, ვინაიდან მას კანონის უზენაესობის დაცვაში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს. პროკურორი არის სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომლის გადაწყვეტილებებიც არსებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბრალდებულსა და სისხლის სამართალწარმოების სხვა მონაწილეებზე, არამედ მთელ საზოგადოებაზეც. აქედან გამომდინარე კი კანონი ავალდებულებს პროკურორს, რომ მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული, სამართლიანი და ასახავდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესს.

წარმოდგენილ ნაშრომში ასახულია პროკურატურისა და პროკურორთან დაკავშირებული დებულებები; განხილულია პროკურატურის სისტემა და როლი ქართულ სისხლის სამართალწარმოებაში, საუბარია პროკურატურის საქმიანობის პრინციპებსა და ამოცანებზე, ასევე განხილულია პროკურატურის ინსტიტუტები საზღვარგარეთის ქვეყნებში. ნაშრომში შევეხეთ ასევე პროკურორის ფუნქციას. განხილულია პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლი და

ბრალდების მხარდაჭერის ფუნქცია საქმის სასამართლო განხილვისას. საუბარია ასევე პროკურორის არასრულწლოვანთა პროცესში მონაწილეობის საკითხებზე. ბოლოს კი ყურადღებაა გამახვილებული საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტზე, რომელიც, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის, შედარებით ახალი ინსტიტუტია.

თემის აქტუალურობა: ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმეჯერ მოხდა ქართული საპროცესო კანონმდებლობისა და პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის რეფორმა და მათთან ერთად მუდმივად იცვლებოდა პროკურორის როლი სისხლის სამართალწარმოებაში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თითოეულ ცვლილებასთან ერთად, მუდმივად იცვლებოდა პროკურატურისა და პროკურორის უფლება მოვალეობებიც. ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა დღესაც გრძელდება. ამასთან იზრდება დანაშაულის მასშტაბები და ვრცელდება ახალი სახის დანაშაულებები. საქართველოში კი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრში დგას პროკურორი, რომელიც თავისი ობიექტურობითა და სამართლიანი მიდგომით ცდილობს სასამართლოს წინაშე დაამტკიცოს პირის ბრალეულობა, დაეხმაროს სასამართლოს პირის დამნაშავეობის საკითხის დამტკიცებაში, რა დროსაც ის მოქმედებს სახელმწიფოს სახელით და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

ნაშრომის მიზნები: ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლის ანალიზი. მისი ფუნქციებისა და მასზე დაკისრებული მოვალეობების მიმოხილვა. ასევე პროკურორის სტატუსისა და უფლებამოსილების გარკვევა, მისი საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობის გარკვევის საკითხი.

ამოცანები: აღნიშნული მიზნების მისაღწევად კი ნაშრომში წარმოჩენილია შემდეგი ამოცანები:

- ✓ საქართველოს პროკურატურის სისტემური რეფორმის განხილვა/ანალიზი;

- ✓ საქართველოს პროკურატურის სისტემის, მისი ამოცანის, ფუნქციისა და პრინციპების განხილვა/ანალიზი;
- ✓ პროკურატურისა და პროკურორის უფლება-მოვალეობების მიმოხილვა საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე;
- ✓ პროკურორის როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლის განსაზღვრა და შეფასება;
- ✓ ბრალდების მხარდაჭერის განსაზღვრა;

კვლევის მეთოდები: წარმოდგენილი ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლისა და შეფასების მიზნით გამოყენებული იქნა კვლევის რამოდენიმე მეთოდი, ესენია: სამეცნიერო ლიტერატურის თეორიული ანალიზი, ინტერნეტის მეშვეობით მიღებული მონაცემების განხილვა. ასევე ნაშრომში გამოყენებული იქნა შედარებით-სამართლებრივი და სტატისტიკური მეთოდები.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

პროკურატურისა და პროკურორის როლი ქართულ სამართალწარმოებაში გაუზომლად დიდია, მაგრამ მიუხედავად ამისა კონკრეტული, სპეციალური ნაშრომები, რაც შეიძლება დაგვეხმაროს პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლის გაანალიზება-ჩამოყალიბებაში, ძალიან მცირეა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ რიგში საჭირო, გახდა პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი საფუძვლიანად შესწავლილი და დამუშავებულიყო, ვინაიდან ორგანული კანონი წარმოადგენს, თითოეული მოქმედი პროკურორისათვის, ერთ-ერთ მთავარ სახელმძღვანელოს. ისევე როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, აღნიშნული ორგანული კანონის რეფორმა დღემდე გრძელდება. აქედან გამომდინარე საჭირო გახდა აღნიშნული რეფორმების ზოგადი მიმოხილვა და შედარება ანალიზი.

პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონთან ერთად, საჭირო გახდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამოყენებაც, ვინაიდან აღნიშნული წრმოადგენს პოკურორისა და მთლიანად პროკურატურის მთავარ სახელმძღვანელოს. მასში არის ასახული ის ამოცანები და ძირითადი პრინციპები, რომელთა დაცვაც თითოეული პროკურორის ვალდებულებაა. გარდა ზემო აღნიშნული კანონისა და კოდექსისა, ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს ძირითად კანონს. აგრეთვე გამოყენებულია საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ.

როგორც უკვე ზემოთ ვახსენე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წარმოადგენს მოქმედი პროკურორების, ასე ვთქვათ, მთავარ სახელმძღვანელოს, რომელშიც ზედმიწევნითაა ჩამოყალიბებული ის უფლება-მოვალეობები და საქმიანობის მიმართულებები, რომელთა დაცვაც თითოეული პროკურორისათვის სავალდებულოა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უკეთ განსახილველად და პროკურორის საქმიანობის უკეთ წარმოსაჩენად

გამოყენებული გვაქვს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის რედაქციით.

გარდა აღნიშნული კომენტარისა, თემის შინაარსის სრულყოფილად გადმოსაცემად გამოყენებულია მალხაზ ლომსაძის ნაშრომი „სისხლის სამრთლის პროცესი“ (მეხუთე გდამუშავებული და შევსებული გამოცემა), რომელიც მიუძღვნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული ბრძოლებში დაღუპულ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კურსანტთა ნათელ ხსოვნას. ნაშრომი შედგენილია 2010 წლის 1 ოქტომბრის ძალაში შესული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სადაც ამომწურვადაა განხილული იმ დროს მოქმედი საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებები.

ნაშრომის თემის გადმოსაცემად გამოყენებულია საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა კოლექტივის მიერ შემუშავებული და გამოცემული 2008 წელს. მართალია აღნშნული ლიტერატურა, თანამედროვე საპროცესო კანონმდებლობის ახლებურ ვარიანტს ჩამორჩება, მაგრამ მოცემულ წიგნში გადმოცემულია სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები, იმ საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლებიც მათ განიცადეს.

პროკურატურისა და პროკურორის საქმიანობა, ვრცლად აქვს განხილული გივი აბაშიძეს თავის ნაშრომებში, რომლებიც მოცემული თემის ჩამოყალიბებაშიც იქნა გამოყენებული. ესენია: პროკურორი გამოძიების სტადიაზე და სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის ფუნქცია და მისი განხორციელება გამოძიების სტადიზე. მართალია წარმოდგენილი ნაშრომები ძირითადად ეხება პროკურორის საქმიანობას გამოძიების პროცესში, მაგრამ მასში განხილული თემები და პროკურორის საქმიანობის მიმართულებების გაანალიზება დაგვეხმარა წარმოდგენილი ნაშრომის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში.

საკვლევი თემის აქტუალურობიდან და მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულია ის მასალა, რომელიც დაგვეხმარებოდა აღნიშნული თემის სრულყოფილად ჩამოყალიბებაში. ერთ-ერთი მთავარი ლიტერატურა რაც დაგვეხმარა დასახული მიზნების მიღწევაში, გახლავთ ,,საპროკურორო

სამართალი“, რომელიც გამოცემულია 2015 წელს და ჰყავს რამოდენიმე ავტორი. მართალია აღნიშნული ლიტერატურა, ამჟამად მოქმედ საპროცესო კანონმდებლობასა და პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონს სრულად არ შეესაბამება, ვინაიდან წარმოადგენს 2015 წლის რედაქციას, მაგრამ მთავარი აზრი, ხედვები და პროკურორთა საქმიანობის მიმართულება მეტნაკლებად მაინც გადმოცემული და განხილულია.

წინამდებარე ნაშრომში პროკურატურის სტრუქტურის რეფორმების განსახილველად გამოყენებული იქნა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ მომზადებული ანგარიში, რომლის ავტორებიც არიან თამარ გვასალია და გურამ იმნაძე. აღნიშნულ ანგარიშში ნათლად არის გადმოცემული ის ცვლილებები და რეფორმები, რაც განვლო პროკურატურის სისტემამ, კონსტიტუციის მიღებიდან - 2018 წლამდე.

ნაშრომის მთავრი თემაა პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლი სისხლის სამართალწარმოებაში. სახელმწიფო ბრალმდებლის მოვალეობაა გამოვიდეს საქმის არსებითი განხილვის პროცესში სახელმწიფოს სახელით და მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალდებას. აღნიშნული კი გულისხმობს შესავალი და დასკვნითი სიტყვის მოზადებას, მოწმეთა დაკითხვასა და მტკიცებულებების გამოკვლევას. პროკურორის მოცემული უფლება-მოვალეობების უკეთ წარმოსაჩენად ამჯერადაც ძირითადად გამოყენებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი. აგრეთვე ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაოსების ინიციატივის (ABA ROLI) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო „შესავალი სიტყვა. დასკვნითი სითყვა“, რომელიც წარმადგენს სახელმძღვანელოს იურისტებისათვის. ასევე გამოყენებულია იოსებ ხუციშვილის ავტორეფერატი „პროკურორი და გამოძიების პროცესუალურ - ორგანიზაციული თავისებურებანი“, რომელიც შემუშავებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

მოწმეთა დაკთხვისა და მტკიცებულებათა გამოკვლევის ფუნქციის უკეთ გასაგებად გამოყენებულია ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაოსების ინიციატივის (ABA ROLI) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო „პრიდაპირი

დაკითხვა. ჯვარედინი დაკითხვა“ და ამავე ასოციაციის მიერ შემუშავებული კიდევ ერთი სახელმძღვანელო „სახელმძღვანელო იურისტებისათვის სასამართო ექსპერტიზის, ექსპერტი მოწმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ“. ასევე გია დეკანოზიშვილის დისერტაცია „დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამრთალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში“.

მოცემულ ნაშრომში საუბარია აგრეთვე პროკურორის როლზე არასრულწლოვნის პროცესში. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი ყოველთვის საჭიროებს პროკურორის მხრიდან განსაკუთრებულ მიდგომასა და ყურადღებას. აღნიშნული საკითხის გნსახილველად გამოყენებულია პირველ რიგში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2015 წლის 12 ივნისს. ძირითად სახელმძღვანელოდ რაც იქნა გამოყენებული არის მორის შალიკაშვილისა და გივი მიქანაძის ნაშრომი - არასრულწლოვანთა მარლმსაჯულება, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმების განხილვის პირველ მცდელობას წარმოადგენს. საკითხის უკეთ გარკვევასა და წარმოჩენაში გამოყენებულია ირინე ბოხაშვილისა და მელიტონ ბენიძის სტატია „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები“, რომელიც გამოქვეყნებულია 2009 წელს და იმ დროს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით არის შექმნილი.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებას, რომელიც ქართული კანონმდებლობისათვის ახალი ინსტიტუტია, მის განსახილველად პირველ რიგში გამოყენებულია საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა. ასევე მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებულია საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც ეხება საპროცესო შეთანხმებას. მოცემულ ანგარიშში განხილულია თუ რას გულისხმობს ტერმინი „საპროცესო შეთანხმება“ და მოცემულია საპროცესო შეთანხმების გამოყენების სტატისტიკა 2005-2009 წლის განმავლობაში. აღნიშნული საკითხის უკეთ გასარკვევად ასევე გამოყენებულია

ირაკლი კოტეტიშვილის ნაშრომი „საპროცესო შეთანხმება - შედარებითი მიმოხილვა“.

და ბოლოს, პროკურატურისა და პროკურორის საქმიანობის მთლიანი შეჯამებისა და გაანალიზებისათვის გამოყენებულია საქართველოს პროკურატურის ანგარიში 2018 წლის 06 თებერვლის მდგომარეობით, სადაც ზუსტადაა ასახული ის შედეგები და მიღწევები, რაც პროკურატურის სისტემამ ბოლო წლებში მიაღწია. ასევე გამოყენებულია „ეისითის“ მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2017 წელს შედგენილი ანგარიში, რომელშიც საუბარია ადამიანის უფლებებსა და მართლმსაჯულებაზე. აღნიშნულ ანგარიშში წარმოდგენილია გამოკითხვები და სტატისტიკური მონაცემები პროკურატურის საქმიანობასთან დაკავშირებით, საზოგადოების მის მიმართ ნდობის საკითხსა და ინფორმირებულობის შესახებ.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1 პროკურატურა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

პროკურატურის სისტემა, ორგანიზაცია და საქმიანობის მიმართულებები განისაზღვრება "პროკურატურის შესახებ" 2018 წლის 30 ნოემბრის ორგანული კანონით, რომელიც სისხლის სამართლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით პროკურატურას სხვა, დამატებით ფუნქციებსაც აკისრებს, მაგალითად, აღნიშნული კანონის მიხედვით პროკურატურა დამატებით ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

პროკურატურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ და სხვა სამართლებრივი აქტები, ხოლო პროკურატურის ფუნქცია და ამოცანები სისხლის სამართლის პროცესში რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცელკეული ნორმებით.

ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პროკურატურა თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს.

2.1.1 პროკურატურის სისტემური რეფორმის მოკლე ანალიზი

1995 წლის კონსტიტუციის მიღების დღიდან დღემდე, პროკურატურამ რამდენჯერმე შეიცვალა სტატუსი და ქვემდებარება, მაგრამ მისი როლი და ამოცანები ძირითადად უცვლელი რჩებოდა. პროკურატურა არის ორგანო,

რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კანონის უზენაესობის დაცვაში და რომელმაც ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, რათა თითოეული მოქალაქის უფლებება იყოს დაცული. აღნიშნულის გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნა პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტული ფუნქციაა. სისხლისსამართლებრივი დევნის რეალიზაცია საშუალებას აძლევს პროკურორს დაიცვას საზოგადოება იმ დანაშაულებრივი ქმედებისაგან, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

იმისათვის რომ დაიცვას საზოგადოება დანაშაულებრივი ქმედებისაგან, უზრუნველყოფილი იქნას კანონიერების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი თავიდან აცილება, თითოეულ სახელმწიფოში და, მათ შორის, საქართველოშიც შექმნილია სამართალდამცავი ორგანოების სისტემა, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროკურატურა, რომლის ფუნქციები და ამოცანები ახლებურად წარმოაჩინა ზემოაღნიშნულმა და 2018 წლის 17 დეკემბერს ამოქმედებულმა ორგანულმა კანონმა ,,საქართველოს პროკურატურის შესახებ.“[1]

როგორც უკვე ვთქვით, 1995 წლის კონსტიტუციის მიღების დღიდან-დღემდე, პროკურატურამ მრავალჯერ შეიცვალა სტატუსი და ქვემდებარეობა. მაგალითად. 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში არსებული, ერთიან ცენტრალიზებულ დაწესებულებას წარმოადგენდა, მაგრამ გენერალური პროკურორის დანიშვნასთან დაკავშირებით სასამართლო ხელისუფლებას არანაირი კავშირი არ ქონდა. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა შედიოდა სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობაში გენერალურ პროკურორს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ირჩევდა საქართველოს პარლამენტი ხოლო თანამდებობიდან გადაყენების საკითხი რეგულირდებოდა იმპიჩმენტის წესით.[2]

---

[1] გ. აბაშიძე, პროკურორი - გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, გამომც. :გეორგიკა“, თბ. 2011, გვ. 5

[2] თ. გვასალია, გ. იმნაძე, პროკურორის სისტემის რეფორმა (საკონსტიტუციო ცვლილებებთან კანონმდებლობის ჰარმონიზაცია), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბ. 2018, გვ. 9

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2008 წელს, როდესაც საქართველოს პროკურატურა სრულიად მოექცა აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში. ამ ცვლილებების შედეგად, საქართველოს პროკურატურა, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება გახდა და მასზე ხელმძღვანელობის უფლებამოსილება მიენიჭა პოლიტიკური თანამდებობის პირს - იუსტიციის მინისტრს.[3]

პროკურატურის იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში მოქცევამ, ბუნებრივად გაზარდა იუსტიციის მინისტრის მანდატი პროკურატურასთან მიმართებით. უფრო მეტიც, ამ საკანონმდებლო წესრიგით იგი უმაღლესი რანგის პროკურორად იქნა მოაზრებულ. მას უშუალოდ შეეძლო კონკრეტული თანამდებობის პირების, მათ შორის პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის სისხლისსამართლებრივი დევნა. შეიცვალა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის წესიც. კერძოდ, მთავარ პროკურორს იუსტიციის მინისტრის ერთპიროვნული წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავდა პრეზიდენტი.[4]

გარდა დადებითი აზრისა, მოცემული რეფორმის მიმართ, საზოგადოებაში გაჩნდა უარყოფითი შეხედულებებიც. კერძოდ, ოპონენტთა აზრით, მოქმედ სისტემაში პროკურატურა მთავრობის ორგანული ნაწილი გახდა და პოლიტიკური ზეგავლენის საფრთხის ქვეშ მოექცა, რადგან მთავრობა წარმოადგენდა სისხლის სამართლის პოლიტიკის ავტორსაც და მის განმახორციელებელსაც.[5]

პროკურატურის საერთო ხელმძღვანელობის ფარგლები მეტნაკლებად შეიცვალა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წელს გატარებული ცვლილებით. აღნიშნული ცვლილების თანახმად, სხვადასხვა თანამდებობის პირის (მათ შორის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია გადავიდა მთავარი პროკურორის

---

[3] თ. გვასალია, გ. იმნაძე, პროკურორის სისტემის რეფორმა (საკონსტიტუციო ცვლილებებთან კანონმდებლობის ჰარმონიზაცია), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბ. 2018, გვ. 9

[4] თ. გვასალია, გ. იმნაძე, პროკურორის სისტემის რეფორმა (საკონსტიტუციო ცვლილებებთან კანონმდებლობის ჰარმონიზაცია), ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), თბ. 2018, გვ. 10

უფლებამოსილებაში. მასვე მიენიჭა სხვადასხვა ორგანიზაციული ფუნქციები, რომლებიც ცვლილებამდე იუსტიციის მინისტრის კომპეტენციას წარმოადგენდა. თუმცა, იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს შორის უფლებამოსილების გადანაცვლებას მაინც ფორმალური დატვირთვა ჰქონდა, რამდენადაც, პროკურატურის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების გამოცემის უფლება უსტიციის მინისტრს ჰქონდა მინიჭებული. იგი უშუალოდ იყო უფლებამოსილი პროკურატურის წარდგინებით გადაეწყვიტა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის დემტკიცებინა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები.[6]

ცვლილებების მიუხედავად, პროკურატურის დამოუკიდებლობის გარანტიები მაინც მცირე იყო, როგორც ინსტიტუციურ ასევე ხელმძღვანელობის დონეზე, რადგან პროკურატურა მოქცეული იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში და იუსტიციის მინისტრს შენარჩუნებული ჰქონდა დომინირებული როლი.

პროკურატურის სისტემის საბოლოო ცვლილება განხორციელდა 2018 წელს, როდესაც პროკურატურა მთლიანად გამოეყო იუსტიციის სამინისტროს და მთავრობას. აღნიშნული რეფორმის თანახმად პროკურატურა წარმოადგენს ერთიან და ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. „დაუშვებელია პროკურატურის საქმიანობაში ჩარევა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა.“[7] შეიცვალა ასევე, ახლა უკვე, გენერალური პროკურორის, თანამდებობაზე გამწესების წესიც. გენერალური პროკურორის არჩევის უფლებამოსილება საპროკურორო საბჭოსა და პარლამენტს შორის გადანაწილდა. კონსტიტუციის ახალი რედაქციის თანახმად, გენერალურ პროკურორს, საპროკურორო საბჭოს წარდგინებით, ირჩევს პარლამენტი 6 წლის ვადით.

[6] ს. ვერძეული, პროკურატურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. https://emc.org.ge/ka უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23/03/2019

[7] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, თბ. 2018. მუხლი 6

განხორციელებული ცვლილებებისა და რეფორმების მიუხედავად, საზოგადოების პროკურატურისადმი დამოკიდებულება თითქმის არ შეცვლილა. მათ დიდ ნაწილს პროკურატურა მიაჩნია ,,პოლიტიკურად მართულ" ორგანოდ, რომელიც ხშირ შემთხვევებში ასრულებს პოლიტიკურ დაკვეთებს [იხ. დანართი 4]. „ეისითის" მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მომზადებულ გამოკითხვაში ნათლად ჩანს, გამოკითხულთა ის პროცენტული მაჩვენებელი რომელიც მიიჩნევს, რომ პროკურატურა როგ საკითხებში დამოუკიდებელი არ არის და ხელმძღვანელობს პოლიტიკური მითითებებით. „არის კითხვის ნიშნები ამ ორგანოს დამოუკიდებლად ფუნქციონირების მიმართ... ის, რომ გარკვეული საქმეების მიმართ არსებობს მაღალი ინტერესი და არ ხდება მათი გამოძიების ეტაპების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საკმარისად კითხვის ნიშნებს აჩენს. {არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი}".[8]

2.1.2 პროკურატურის სისტემა და როლი სისხლის სამართალწარმოებაში

საქართველოს პროკურატურს სიტემას წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით გენერალურ პროკურატურაზე დაქვემდებარებული პროკურატურების ერთობლიობას. კერძოდ, „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, პროკურატურის სისტემას ქმნიან:

- ✓ საქართველოს გენერალური პროკურატურა (შემდგომ - გენერალური პროკურატურა)
- ✓ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები
- ✓ თბილისის პროკურატურა
- ✓ საოლქო პროკურატურები
- ✓ რაიონული პროკურატურები

[8] „ეისითის" მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მომზადებული ანგარიში https://www.undp.org, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 23/03/2019;

- ✓ სპეციალიზებული პროკურატურები - (პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში)[9]

აღნიშნული კანონის თანახმად, საგანგებო ან სპეციალური (მაგალითად: სამხედრო, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, სასჯელაღსრულებითი და ა.შ.) პროკურატურის, შექმნა აკრძალულია. საქართველოს პროკურატურის ორგანოების სტრუქტურას, მის საშტატო ერთეულებსა და მათ ცვლილებებს განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.[10]

საქართველოს გენერალური პროკურატურა თავის საქმიანობას ახორციელებს დაქვემდებარების პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვემდგომი პროკურორი ექვემდებარება ზემდგომს. ზემდგომი პროკურორის მიერ, ქვემდგომი პროკურორისადმი პროკურატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებზე მიცემული მითითებების შესრულება სავალდებულოა; ასევე ქვემდგომი პროკურორი პასუხისმგებელია ზემდგომ პროკურორთან, როდესაც ის ასრულებს სამსახურეობრივ მოვალეობას; ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია გააუქმოს, შეცვალოს ან ცვლილებები შეიტანოს ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებებსა და აქტებში; ზემდგომი პროკურორი განიხილავს აგრეთვე ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებებსა და აქტებზე საჩივრებს; ქვემდგომი პროკურორი ვალდებულია ზემდგომ პროკურორს წარუდგინოს თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიში, ინფორმაცია და საქმის მასალები. ქვემდგომი პროკურორი და პროკურატურის სხვა თანამშრომელი ვალდებულნი არიან დაემორჩილონ და შეასრულონს ზემდგომი პროკურორის ყველა კანონიერი მოთხოვნა და მითითება. ქვემდგომი პროკურორის ზემდგომი პროკურორისადმი დაქვემდებარების საკითხს წყვეტს გენერალური პროკურორი.[11]

პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, გენერალური პროკურორი, უფლებამოსილია განსაზღვროს ზემდგომი პროკურორისადმი ქვემდგომი პროკურორის დქვემდებარების სხვა ფორმები,

---

[9] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, 2018წ. მუხლი 8;

[10] ჰ. მონიავა, და სხვ., საპროკურორო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ, 2015, გვ. 45;

[11] ჰ. მონიავა, და სხვ, საპროკურორო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ, 2015, გვ. 45;

რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. აღნიშნულის გათვალისწინებით ქვემდგომი პროკურორები და პროკურატურის სხვა თანამშრომლებს ეკისრებათ ვალდებულება, შეასრულონ ზემდგომი პროკურორის ყველა კანონიერი მოთხოვნა და მითითება.[12]

პროკურატურა თავის ფუნქცია-მოვალეობებს ახორციელებს სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო და კოორდინირებული თანამშრომლობის გზით. პროკურატურა სისხლის სამართლის პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფოებრივ ფუნქციას, ეს არის მაღალი ხარისხის სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება.

პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ფუქნციაა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, რომელიც პროკურორის დისკრეციულიული უფლებამოსილებაა და საქართველოს სისხლის სამართლის სპროცესო კოდექსით არის რეგლამენტირებული. სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად პროკურატურა ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი).[13]

სისხლისსამართლებრივი დევნა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ აქტიური და პრობლემატური საკითხია სისხლის სამართლის პროცესში, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების, დაწყება არ დაწყების საკითხი, მთლიანად პროკურორზეა დამოკიდებული, რადგან ეს მისი დისკრეციული უფლებამოსილებაა.

დისკრეცია, როგორც საკანონმდებლო ნოვაცია, დიდი ხანი არ არის რაც დაინერგა თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში და ის ერთერთ სადავო და ჯერ კიდევ არასაკმარისად შესწავლილ თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემასთან დაკავშირებით კი არსებობს ურთიერთ საწინააღმდეგო მოსაზრებები.

---

[12] პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 2018წ. მუხლი 9;

[13] ვ. მონიავა, და სხვ, საპროკურორო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ. 2015, გვ. 53;

რუსი მეცნიერის, მიხაილ სტროგოვიჩის აზრით, დევნა არის საქმიანობა, რომელიც გამოიხატება მტკიცებულებათა შეგროვებაში და რომელიც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე იმ მოქმედების განხორციელებაში, რომლებიც მიმართულია სასამართლოს წინაშე ბრალდების დასაბუთებაში და სათანადო სასჯელის მოთხოვნაში. სისხლისსამართლებრივ დევნას მიეკუთვნება პროკურორის საქმიანობა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ დაასაბუთოს სასამართლოს წინაშე წარდგენილი ბრალდება, დაარწმუნოს სასამართლო ბრალდებულის ბრალეულობაში და შეეფარდოს დამსახურებული სასჯელი.[14]

ქართული საპროცესო კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოადგენს იმ მოქმედებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის გამოვლენა და მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფა, რომელსაც ახორციელებს პროკურატურა და ემსახურება საჯარო ინტერესის დაცვას.

2.1.3 პროკრატურის ამოცანები და საქმიანობის პრინციპები

საქართველოს პროკურატურის ამოცანები გახლავთ იმ ძირითადი მიზნების ერთობლიობა, რომელთა განსახორციელებლადაც არის შექმნილი პროკურატურა. პროკურატურის ამოცანები წარმოდგენილია პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლში, რომლის თანახმად პროკურატურა კანონით დადგენილი წესით:

1. ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;
2. სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას
3. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას

[14] М. С Строгович, Уголовное преследование в советском уголовном процессе, Мс 1951, с.-57;

4. ზედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობის იმ ნაწილს, რომელიც ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ექცევა საპროკურორო უფლებამოსილების ფარგლებში

5. რეაგირებას ახდენს თავისუფლება აღკვეთილ და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე და ასრულებს საპროცესო მოვალეობებს იმ დაწესებულებებში, რომლებიც სასჯელს ან სასამართოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებით ღონისძიებებს აღასრულებენ

6. სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას

7. სახელმწიფოს სახელით, როგორც მოსარჩელე, მონაწილეობს რეკეტირის, თანამდებობის პირის, ,,ქურდული სამყაროს“ წევრის/“კანონიერი ქურდის“, ადამიანთა მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართის კოდექსის 194-ე ან/და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილვევლ საქმეებში

8. ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას

9. კოორდინაციას უწევს დანაშულის წინააღმდეგ ბრძოლას და დანაშაულის პრევენციას.[15]

პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ჩამოთვლილი პროკურატურის ფუნქციები და ამოცანები ამომწურავი არ არის, თუმცა, პროკურატურისათვის დამატებით სხვა ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია, პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები არ ითვალისწინებს, დაუშვებელია.

ქართულ სინამდვილეში, პროკურატურის ამოცანებიდან გამომდინარე, პროკურატურა ახორციელებს საქმიანობას, რომელიც პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, კერძოდ საქმიანობას, რომელიც გათვალისწინებულია

[15] პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, 2018 წ. მუხლი 4

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და საქმიანობას, რომელიც სცილდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებს.[16]

პროკურატურის საქმიანობის მთავარი მიზანი არის განამტკიცოს ქვეყანაში კანონიერება და მართლწესრიგი, დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან, როგორც მოქალაქეთა სოციალური, პოლიტიკური და პირადი უფლებები, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებები და კანონიერი ინტერესები.

რაც შეეხება პროკურატურის საქმიანობის პრინციპებს. სიტყვა „პრინციპი" არის ზოგად-სავალდებულო ხასიათის დებულება, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა და რომელთა საფუძველზეც აგებულია, ამ შემთხვევაში, პროკურატურის საქმიანობა. პროკურატურის საქმიანობის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპებია:

ა) კანონიერება და სამართლიანობა: აღნიშნული პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პროკურატურის ორგანოები უნდა მოქმედებდნენ მხოლოდ კანონიერების ფარგლებში, ანუ ისინი უნდა მოქმედებდნენ საქართველოს კონსტიტუციისს, პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონისა და სხვა შესაბამისი სამართებრივი აქტების საფუძველზე.

ბ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა: „ობიექტურობა არსებული ვითარებს ადეკვატურად ასახვაა, ხოლო მიუკერძოებლობა მოქმედი კანონმდებლობისაგან თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა."[17] აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული პრინციპის დაცვის გარანტად შეიძლება ჩაითვალოს პროკუროორის პროფესიული გამოცდილება, კეთილსინდისიერება და პრინციპულობა. პროკურორი თავის საქმიანობაში უნდა იყოს დამოუკიდებელი და ხელმძღვანელობდეს მხოლოდ კანონით და კანონის საფუძველზე, გენერალური პროკურორის ბრძანებებითა და მითითებებით.

გ) პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა: პროკურატურის თანამშრომელი, დანიშვნის დროს უნდა აკმაყოფილებდეს წინასწარ განსაზღრულ მოთხოვნებს, რაც

[16] ჰ. მონიავა, და სხვ, საპროკურორო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო", თბ. 2015, გვ. 33
[17] ჰ. მონიავა, და სხვ., საპროკურორო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო", თბ. 2015, გვ. 37

განპირობებულია მომავალი სამუშაოს სირთულითა და საზოგადოების თვალში ავტორიტეტის არსებობის აუცილებლობით. აღნიშნული მოთხოვნების არ ქონის შემთხვევაში, პროკურატურის მუშაკი ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების სათანადო შესრულებას. ამიტომ პროკურორის თანამდებობაზე შეირჩევიან ისეთი კანდიდატები, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი იურიდიული განათლება, მორალური სიმტკიცე, ღრმა პროფესიული ოსტატობა, კეთილსინდისიერება და სიმტკიცე. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევებისა, მომავალ პროკურორებს დამატებით მოეთხოვებათ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და სტაჟირების გავლა. თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგაც, სისტემატურად ხორციელდება პროკურორთა პროესიონალიზმის შემოწმება, რასაც ატესტატია ქვია. მისი გავლა კი თითოეული მუშაკისათვის სავალდებულოა.

გ) ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორისა და პროკურატურის სხვა თანამშრომლის გენერალური პროკურატურისადმი დაქვემდებარება: საქართველოს პროკურატურის სისტემა წარმოადგენს ერთიან და ცენტრალიზებულ სისტემას, რომლის სათავაშიც დგას გენერალური პროკურორი. როგორც უკვე ზევით მოგახსენეთ, პროკურორის ცენტრალიზაცია გულისხმობს ქვემდგომი პროკურორის დაქვემდებარებას ზემდგომ პროკურორისადმი და მათ ერთობლივ დაქვემდებარებას გენერალურ პროკურორისადმი. თავის მხრივ კი გენერალური პროკურორი ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს.

ე) პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და ღირსების ხელშეუხებლობა: ადამიანის ღირსება და თავისუფლება ხელშეუხებელია, რაც საყოველთაოდ არის ცნობილი და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით.[18] ამის გათვალისწინებით კი, პროკურატურის მთავარი ამოცანა და მოვალეობაა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლების დაცვა. კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებები, რომელთა დაცვის მოვალეობაც აკისრია პროკურატურას, მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში.

[18] საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995 (2018 წლის რედ.) თავი 2

ვ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი: აღნიშნული პრინციპის დაცვა გულისხმობს, რომ პროკურორი არ შეიძლება ემსახურებოდეს რომელიმე პარტიას, რელიგიურ გაერთიანებას, ან რაიმე ნიშნით ერთმანეთთან დაკავშირებულ პრითა წრეს. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გარანტად შეიძლება ჩავთვალოთ ის ცვლილება, რომელიც 2018 წელს შევიდა საქართველოს კონსტიტუციაში და პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლის მიხედვითაც პროკურატურა გამოეყო იუსტიციის სამინსიტროს და მთავრობას, რის შედეგადაც გახდა დამოუკიდებელი და ცენტრალიზებული სტრუქტურა, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს.

პროკურატურის საქმიანობაში ჩარევა ან რაიმე სახით ზემოქმედება დაუშვებელია და ისჯება კანონით. „პროკურატურის თანამშრომლის საქმიანობაში ჩარევა თანამდებობის პირების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების, მათი წარმომადგენლების ან სხვა პირების მიერ რომლებიც კანონით არ არიან უფლებამოსილი, ჩაერიონ პროკურატურის თანამშრომლის საქმიანობაში ან ნებისმიერი ფორმით მოახდინონ მასზე ზემოქმედება, აგრეთვე პროკურატუის თანამშრომლის საქმიანობისათვის ხელის შეშლა ისჯება კანონით.“[19]

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ მიხედავად პროკურატურის სისტემაში განხორციელებული რეფორმებისა, მისი ამოცანები, სამოქმედო პრინციპები და როლი ძირითადად უცვლელი რჩებოდა. პროკურატურა მუდამ იყო და იქნება კანონიერების, მართლმსაჯულების სადარაჯოზე და უდიდეს როლს ასრულებს განვითარებული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე.

[19] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, თბ. მუხლი 75

2.2 პროკურატურის სისტემა საზღვარგარეთის ქვეყნებში

წარმოდგენა პროკურატურის სისტემის შესახებ არ იქნება სრული, თუ არ შევეხეთ საზღვარგარეთის ქვეყნებში პროკურატურისა და პროკურორის უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებულ საკითხებს. პირველ რიგში მინდა ყურადღება გავამახვილო საფრენგეთის მოდელზე, ვინაიდან საფრანგეთი პროკურატურის სამშობლოდაა მიჩნეული, ხოლო ფრანგული პროკურატურა ნიმუში მრავალი განვითარებული ქვეყნისათვის. საფრანგეთში პროკურატურას საჯარო სამინისტროს

სახელითაც იცნობენ, რომლის უმაღლესი ხელმძღვანელი პირი არის იუსტიციის მინისტრი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის გენერალური და რესპუბლიკის პროკურორები. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობის ნაწილია, ის მანიც ფუნქციურად დამოუკიდებელ, ორგანიზაციულად ცენტრალიზებულ სისტემას წარმოადგენს.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, იუსტიციის მინისტრს, შეუძლია გენერალურ პროკურორს დაავალოს კონკრეტულ დანაშაულებთან დაკავშირებით საქმის აღძვრა. რესპუბლიკის პროკურორს საქმის აღძვრა შეუძლია, როგორც საჯარო ინტერესების შესაბამისად, საკუთარი ინიციატივით ისევე გენერალური პროკურორის მოთხოვნით, რომელიც მოქმედებს საკუთაარი ინიციატივით ან იუსტიციის მინისტრის დავალების შესაბამისად.[20]

პროკურატურის უმაღლესი რგოლი საფრანგეთის საკასაციო სასამართლოსთან არსებული გენერალური პროკურატურაა, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო ბრალდებას ახორციელებს საკასაციო სასამართლოში და არ ერევა სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაში. სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების ფუნქცია, საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით აკისრია დევნის უმთავრეს ორგანოს - რესპუბლიკის პროკურორს.

საფრანგეთისაგან სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა ინგლისში, სადაც არ არსებობს ერთიანი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. დიდი ხნის მანძილზე არ არსებობდა უმცირესი დონის პროკურატურაც კი, რის გამოც მძიმე დანაშაულებისათვის, სარჩელის აღძვრის ინიციატივას იღებდა 1879 წელს მთავრობის მიერ შექმნილი ბიურო. „1979 წელს შეიქმნა პროკურატურა, რომელიც იღებდა პოლიციის მიერ გახსნილ პირად საქმეებს, ახდენდა მათ გადარჩევას და იშორებდა მათ, რომელშიც ბრალდება ძალზედ სუსტი იყო. ასე შეიქმნა ერთგვარი პროკურატურა.“[21]

---

[20] ჯ. მონიავა, და სხვ. საპროკურორო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ. 2015, გვ., 69

[21] ი. ხუციშვილი, პროკურორი და გამოძიების პროცესუალურ - ორგანიზაციული თავისებურებანი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ავტორეფერატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2014 http://gtu.ge, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 23/03/2019

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ინგლისში არ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რის გამოც გამოძიება წესრიგდება ცალკეული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის საკითხს, 1955 წლამდე, წყვეტდა პოლიცია ხოლო შემდეგ ეს პრივილეგია გადაეცა ,,გვირგვინის საბრალდებო სამსახურს".[22] საბრალდებო სამსახრურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია გენერალურ პროკურორის წინაშე.

ინგლისსა და უელსში გამოძიების წარმართვა პოლიციის მოვალეობაა, რომელიც სასამართლო კონტროლს არ ექვემდებარება, თუ წინასწარი პატიმრობის გამოყენებისას სასამართოს ჩარევას არ ჩავთვლით. ისტორიული მიზეზების გამო ინგლისსა და უელსში 43 სხვა და სხვა საპოლიციო სტრუქტურა მოქმედებს. გარდა პოლიციისა, არსებობს ასევე სხვა საჯარო საგამოძიებო სამსახურებიც (საბაჟო და აქციზების სამსახური, შემოსაცალების, განსაკუთრებით საშიშ თაღლითობათ გამოძიების სამსახური და სხვ.).[23]

გენერალურ პროკურორს რაც შეეხება, იგი წარმოადგენს ინგლისის პარლამენტისა და მთავრობის წევრს, მაგრამ მიუხედავად ამისა, კონსტიტუცია ავალდებულებს, რომ სისხლის სამართლის დევნის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღოს პარტიული შეხედულებებისაგნ დამოუკიდებლად. გენერლური პროკურორი ამავ დროულად არის გვირგვინის იურისტთაგან ერთ-ერთი, რომელიც წარმოადგენს გვირგვინის მთავარ მრჩეველს ქვეყნის სამართლებრივ საკითხებში. გენერალური პროკურორი სასამრთლოში წარადგენს ინგლისისა და უელსის ინტერესებს, მონაწილეობს როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე და ასევე სასამართლოში მხარს უჭერს ბრალდებას განსაკუთრებით მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებზე.

რაც შეეხება პროკურატურისა და პროკურორის ორგანიზაციულ-პროცესუალურ თავისებურებებს გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით. გერმანიის პროკურატურა

---

[22] გ. აბაშიძე, პროკურორი გამოძიების სტადიაზე, თბ., 2012, გვ., 212

[23] ი. ხუციშვილი, პროკურორი და გამოძიების პროცესუალურ - ორგანიზაციული თავისებურებანი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ავტორეფერატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2014 http://gtu.ge, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 23/03/2019

შედის იუსტიციის სამიისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო, გენერალური პროკურორი, რომელიც ხელმძღვანელობს პროკურატურას, ექვემდებარება იუსტიციის მინისტრს. გერმანია წარმოადგენს ფედერაციულ სახელმწიფოს, რომელიც იყოფა 16 ფედერაციულ მხარედ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელს გერმანიის ფარგლებში, მოქმედებს საერთო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

სისხლისსამართლებრივ დევნას გერმანიაში ხელმძღვანელობს, პროკურორი, პოლიცია კი, ამ შემთხვევაში, ასრულებს მხოლოდ დამხმარის როლს. გამოძიებას რაც შეეხება, თეორიულად გამოძიებას პროკურორი უნდა ხელმძღვანელობდეს, მაგრამ რეალურად, ამ ფუნქციას პოლიცია ასრულებს. პროკურორი კი ერევა მაშინ, თუ არსებობს სპეციალური საჯარო ან პოლიტიკური ინტერესი.

გერმანიის კანონმდებლობა გამორჩეულია ასევე იმით, რომ აქ პროკურორს აქვს შეზღუდული დისკრეციულიული უფლებამოსილება. შეზღუდული დისკრეციული უფლებამოსილება გულისხმობს იმას, რომ პროკურორს მხოლოდ მაშინ აქვს სისხლისსამართლებრივ დევნის განხორციელებაზე უარის თქმის უფლება, როცა სახეზეა ნაკლებად მძიმე, ან/და ისეთი დანაშაულის ჩადენა, როდესაც დევნამ შეიძლება სახელმწიფოს ინტერესები დააზიანოს.[24]

სრულიად განსხვავებული სიტუაციაა დანიაში, სადაც პროკურორი, ანუ როგრც მას დანიაში ეწოდება საჯარო ბრალმდებელი, არ წარმოადგენს განსასჯელის მოწინააღმდეგე მხარეს. დანიაში საჯარო ბრალმდებლის მთავარი დანიშნულებაა იმოქმედოს კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების დასაცავად. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ საჯარო ბრალმდებელი მიიჩნევს, რომ პირს უკანონოდ აქვს ბრალი წარდგენილი და მის უკანონო მსჯავრდებას აქვს ადგილი, მას შეუძლია შეიტანოს საჩივარი, ამ პირის სასარგებლოდ.

დანიაში განსხვავებული მიდგომა აქვთ აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დავნის დაწყების თაობაზეც. „მსუბუქი და ნაკლებად მძიმე კატეგორიების დანაშაულთა საქმეებზე პოლიცია ეჭვმიტანილის სახელზე აგზავნის წერილს,

[24] პ. მონიავა, და სხვ, საპროკურორო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ. 2015, გვ. 71

რომელშიც მოკლედაა აღწერილი მოკლედ ჩადენილი დანაშაულის არსი, მითითებულია კონკრეტული სამართლის ნორმა, რომელიც დაირღვა და პირს მიცემული აქვს წინადადება, რომ წერილში მითითებული თანხის გადახდის შემთხვევაში საქმე დაიხურება. მძიმე კატეგორიის საქმეებს კი ადგილობრივი პოლიცია გადასცემს პროკურორს, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას“.[25]

დანიაში არსებობს სპეციალური პროკურორის ინსტიტუტიც, რომელიც სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებზე. დანიაში ბრალდების მთავარ ხელმძღვანელს მთავარი პროკურორი წარმოადგენს. გარკვეული კატეგორიის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მთავარი პროკურორი, როგორიცაა მაგალითად, დანაშაული მასობრივი ინფორმაციის სფეროში. პოლიტიკური დანაშაულების შემთხვევაში კი სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს, მხოლოდ იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.3 პროკურორი

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით პროკურორი არის საჯარო მოხელე, რომელიც იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამის უზრუნველსაყოფად იგი ახორციელებს საპროცესო ხელმძღავნებლობას გამოძიების სტადიაზე. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სრულად ატარებს გამოძიებას. სასამართლოში

[25] პ. მონიავა, და სხვ, საპროკურორო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ. 2015, გვ. 67

არის სახელმწიფო ბრალმდებელი და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. პროკურორი წარმოადგენს სახელმწიფო ბრალმდებელს, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს სახელმწიფოს სახელით და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ზუსტად არის განსაზღვრული თუ ვინ შეიძლება იყოს პროკურორი. აღნიშნული კანონის თანახმად პროკურორი არის - საქართველოს გენერლური პროკურორი (შემდგომ - გენერალური პროკურორი), გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროურორები, თბილისის პროკურორი, საოლქო პროკურორი, რაიონული პროკურორი, სტაჟიორ-პროკურორი, აგრეთვე პროკურატურის დეპარტმენტის, სამმართველოს, განყოფილებისა და მათთან გათანაბრებული სტრუქტურული დანაყოფის უფროსები და მათი მოადგილეები, რომლებიც უშუალოდ ასრულებენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებს, ასევე ცალკეულ შემთხვევებში პროკურატურის თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ არ ასრულებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქიცებს, მაგრამ გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს პროკურორის უფლებამოსილება.[26]

2.3.1 პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი

სისხლის სამართალწარმოებისას პროკურორი არის პროცესის ის სუბიექტი, რომელსაც საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა და მისი საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართლის პროცესში. პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, პროკურორი სასამართლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი,

[26] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, თბ. 2018, მუხლი 2

რომელმაც წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა ამტკიცოს პირისათვის წარდგენილი ბრალდება.

ბოლო პერიოდში საქრთველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გაზარდა პროკურორის ფუნქცია-მოვალეობები. სისხლის სამართლის პროცესში პროკურატურას სამი ძირითადი ფუნქცია გააჩნია. ესენია:

- ✓ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება
- ✓ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა
- ✓ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა
- ✓ გამოძიების სრული მოცულობით ჩატარება

თითოეულ ეტაპზე პროკურორს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რადგან მისი უფლებები მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენის მომენტით არ შემოიფარგლება, იგი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობს დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყების მომენტიდან - სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვამდე. დანაშაულის ფაქტის და მისი ჩამდენი პირის დადგენის მიზნით საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს გამოძიების მიმდინარეობას. ხოლო, როდესაც აღნიშნული საქმე გადაეცემა უკვე სასამართლოს არსებითად განსახილველად, პროკურორი მონაწილეობას იღებს სასამართლო სხდომებში, სადაც გამოდის სახელმწიფოს სახელით, მხარს უჭერს ბრალდებას და ითხოვს ბრალდებულის დამნაშავედ ცნობას.

აღნიშნული თემიდან გამომდინარე, ჩემი მიზანია ვრცლად და დასაბუთებულად ვისაუბრო პროკურორზე, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლზე და სასამართლოში სახელწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფუნქციაზე.

საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში, როგორც წესი იწყება წინასასამართო სხდომის დასრულებიდან 14 დღის განმავლობაში, მაგრამ როდესაც საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულების მიერ, სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს დამატებითი ვადა ან დაადგინოს გონივრული ვადა, თუ საჭიროა ნაფიც მსაჯულთა შესარჩევად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, როდესაც სისხლის სამართლის საქმე გადაეცემა სასამართლოს არსებითად განსახილველად, პროკურორი სასამართლოში მონაწილეობს, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი და ეკისრება წარდგენილი ბრალდების მტკიცების ტვირთი. ამ მოვალეობის შესასრულებლად კი, პროკურორმა, როგორც მხარემ, უნდა უზრუნველყოს საკუთარი მოწმეების გამოძახება სასამართლოში. ,,თუ მხარე არ აპირებს რომელიმე პირს მოწმედ დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს მიერ ამ პირის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია.“[27]

საქმის არსებითად განხილვის პროცესში, პროკურორმა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა ამტკიცოს პირისათვის წარდგენილი ბრალდება და მოითხოვოს ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა. უდანაშაულობის პრეზუმფციის მიხედვით, ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავის უდანაშაულობა. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მტკიცების ტვირთი სასამართლოში პროკურორს აკისრია, ის შეზღუდული არ არის შეცვალოს ბრალდება ან უარი თქვას საერთოდ ბრალდებაზე, თუ სასამართლოს სხდომაზე, გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე, პირის ბრალეულობა არ დასტურდება.

როგორც უკვე აღინიშნა ბრალდების მტკიცების ტვირთი მთლიანად აკისრია პროკურორს. მის მიერ, სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებები უტყუარად უნდა ადასტურებდეს, ბრალდებულის მიერ, ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას და ნებისმიერი ეჭვი უნდა გდაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.[28] საქართველოს კონსტიტუციის მე-31 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და პროკურორის უპირატესი მოვალეობაა სასამართლოზე წარადგინოს ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებათა ერთობლიობა, ვინაიდან პირის დამნაშავედ ცნობისათვის

[27] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2018, მუხლი 228[2]

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - BARBERÀ, MESSEGUÉ AND JABARDO v. SPAIN, Application no. 10590/83, 1988 წლის 6 დეკემბერი

საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.[29]

პროკურორის მონაწილეობა პირველი ინსტაციის სასამართლოში საქმის სააპელაციო და საკასაციო განხილვისას სავალდებულოა. პროკურორს უფლება არ აქვს უარი თქვას სასამართლო სხდომაში მონაწილეობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს თვითაცილების კანონით გათვალისწინებული საფუძველი. იმ შემთხვევაში თუ პროცესის მსვლელობისას გამოიკვეთება პროკურორის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ განცახადებას, პროკურორი აკეთებს ზემდგომ პროკურორთან და ამასთანავე, აღნიშნული განცხადება, უნდა იყოს დასაბუთებული.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროკურორის სასამართლო პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებებია თუ:

- ✓ კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული
- ✓ ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე
- ✓ ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს
- ✓ არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი
- ✓ ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან
- ✓ არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.[30]

სასამართლო სხდომაზე პროკურორი სარგებლობს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით. სხდომის დასაწყისში და დასასრულს ის გამოდის

---

[29] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2018, 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი

[30] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2018, 59-ე მუხლის პირველი ნაწილი

სასამართლოს წინაშე შესავალი და დასკვნითი სიტყვით, წარადგენს საკუთარ მტკიცებულებებს და ამასთან მონაწილეობს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში, სარგებლობს შუამდგომლობის დაყენების უფლებით, მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში და სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულებს გააცნოს ბრალდების დამტკიცების და ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის მისეული პოზიცია.

სასამართლო სხდომის გახსნისას, სხდომის თავჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე, რომელიც არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს. აღნიშნული განმარტებები ნაფიც მსაჯულებს წერილობით გადაეცემათ. „პროკურორი უფლებამოსილია მიმართოს სხდომის თავჯდომარეს შუამდგომლობით მის მიერ გაკეთებულ განმარტებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მაგრამ ეს შუამდგომლობა უნდა გაკეთდეს ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე. თუ პროკურორი არ ისარგებლებს ამ უფლებით, განმარტების სამართლიანობის საკითხი ვერ გახდება საკასაციო საჩივრის საფუძველი“.[31]

საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე პროკურორს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა (მაგ. სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხდომის ნაწილობრის ან სრულად დახურვის შესახებ), ასევე სასამართლოს რომელიმე წევრის ან მთლიანი შემადგენლობის აცილების შესახებ (იხ. სსსკ-ის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მასვე აქვს უფლება წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა დასაშვებობის, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის,

[31] პ. მონიავა., და სხვ., საპროკურორო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ. 2015, გვ. 226

სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების, სასამართლოში წარმართვის და სხვა საკითხების განხილვაში.[32]

1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლლის საპროცესო კოდექსის გათვალისწინებით, პროკურორს ეკისრებოდა დამატებითი ფუნქციებიც. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის თანახმად, პროკურორს შეეძლო სასჯელის მოთხოვნაც. დღევანდელი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კი ეს უფლება პროკურორს აღარ აქვს. სასჯელის განსაზღვრის უფლება-მოვალეობა მთლიანად მოსამართლეს აკისრია.

როგორც უკვე ვთქვით, პროკურორის მონაწილეობა სასამართლო განხილვის პროცესში სავალდებულოა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ის არ ასრულებს საქმის განხილვაში მონაწილეობის ვალდებულებას, ანუ თუ პროკურორი არასაპატიო მიზეზით არ ესწრება სასამართლო პროცესს, სხდომის თავჯდომარე უფლებამოსილია გადადოს პროცესი გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 10 დღით. პროცესის გადადების შესახებ, სხდომის თავჯდომარე, ვალდებულია აცნობოს გენრერალურ პროკურატურას და ზემდგომ პროკურორს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია მომდევნო პროცესზე უზრუნველყოს პროკურორის მონაწილეობა, ხოლო გმოუცხადებლობის მიზეზი აცნობოს სასამართლოს.

თუ დადგინდება რომ პროკურორი არასაპატიო მიზეზით არ ესწრება სასამართლო პროცესს, პროცესის სხვა მონაწილეთა მსგავსად მოსამართლე უფლებამოსილია პროკურორს თავისი განკარგულებით დააკისროს ჯარიმა 100 ლარიდან 500 ლარამდე. აღნიშნული განკარგულება არ საჩივრდება. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი კვლავ არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარეს უფლება აქვს დააყენოს შუამდგომლობა მისი იძულებით მიყვანის თაობაზე.

რაც შეეხება მესამე ინსტაციას, საკასაციო წარმოების განხილვას, ამ შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მის მიერ წარდგენილ საჩივარს,

---

[32] პ. მონიავა, და სხვ., საპროკურორო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ. 2015, გვ. 225

ხოლო სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა მიერ შეტანილ საჩივრებზე გამოთქვას საკუთარი აზრი.

2.3.2 პროკურორი არასრულწლოვანთა პროცესში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აერთიანებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშებთან მიმართებაში გამოყენებად კანონმდებლობას, ნორმებს, სტანდარტებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურებს, მექანიზმებს, დებულებებს და შესაბამის ინსტიტუტებსა და ორგანოებს. თავისი არსით არასრულწლოვანთ მარლმსაჯულების სისტემა კომპლექსურია და აერთიანებს სხვადასხვა ისეთ სამთავრობო სტურქტურას, სააგენტოს, უწყებას, ორგანიზაციასა და დაწესებულებას, როგორიცაა პოლიცია, პროკურორები, ადვოკატები, სასამართლო, სოცილური უზრუნველყოფის სააგენტოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, პრობაციის სამსახურები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები, შემდგომი ზრუნვის ორგანოები და საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.[33]

პირველ რიგში განვსაზღვროთ თუ ვინ არის არასრულწლოვანი. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი, ხოლო არასრულწლოვანთა დანაშაულის ქვეშ იგულისხმება 14-18 წლის მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაული, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი.[34]

საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების მიხედვით არასრულწლოვნის უფლებები დაცული უნდა იყოს სასამართლო საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. სრულწლოვანისგან განსხვავებით არასრულწლოვნისადმი

[33] ქ. ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ლონდონი 2011, ქართული თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ. 2013 წ. გვ. 19

[34] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თბ. 2018, მუხლი 3

საპროცესო მოპყრობა განსხვავებულია და გრკვეულ თავისებურებების მატარებელი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს არასრულწლოვნათა საქმის წარმოების გნსხვავებულ წესს, რომლის აუცილებელი პირობაა საქმისმწარმოებელ (მათ შორის პროკურორის) პირთა მიერ არასრულწლოვნის ბუნების კრგად ცოდნა.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების დათქმას, ე.წ. ,,პეკინის წესებს", რომლის მიხედვითაც, ის პირები, რომლებიც ძირითადად დაკავებულნი არიან არასრულწლოვანთა საქმეებით, უნდა გაიარონ სპეციალური მომზადება და ინსტრუქტაჟი.[35] თითოეულ პროკურორი და გამომძიებელი, რომელსაც შეხება აქვს კანონთნ კონფლიქტში მყოფ მოზარდთან, სპეციალურ გადამზადებას გადიან მოზარდის ფსიქოლოგიასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

პროკურორის ზედმიწევნით კარგი მომზადება მოზარდის ფსიქოლოგიასა და პდაგოგიკაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მის მიერ დისკრეციული უფლების სწორად და სამართლიანად გამოყენებას.[36]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე პროკურორების სრულყოფილი გადამზადება განპირობებულია სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისა და მოზარდის საუკეთესო ინტერესის პრინციპებიდან გამომდინარე და სწორედ ამიტომ კანონმდებლობა ავალდებულებს, თითოეულ პროკურორს, რომელიც მონაწილობს იღებს არასრულწლოვანთა საქმის განხილვაში გაიარონ სპეციალური გადამზადების კურსები და ტრენინგები.

ადვოკატისგან განსხვავებით, რომელსაც კანონი ავალდებულებს, რომ არასრულწლოვანთა პროცესში მონაწილეობის დროს, წარმოადგინოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი[37], პროკურორს არ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის მხარე

[35] პეკინის წესები, https://idsdge.files.wordpress.com, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10/04/2019
[36] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, გამომც. „მერიდიანი" თბ. 2016, გვ. 174
[37] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თბ. 2018, მუხლი 20

მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი დასაცავი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, დროულად გადაამოწმოს დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნა და გავლილი აქვს თუ არა, პროცესში მონაწილე პროკურორს, სპეციალური გადამზადების კურსი.

2.3.3 სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, საქართველოს სასამართლო სისტემაში, სისხლის სამართლის საქმეებზე დამკვიდრდა შეჯიბრობითობის პრინციპი, რომელიც იურისტებისთვის წარმოადგენდა უდიდეს ცვლილებასა და გამოწვევას. შეჯიბრობითობის სისტემის შემოღებამდე, სასამართლო პროცესბზე, მტკიცებულებების გამოქვეყნება და მოწმეთა დაკითხვა სასამართლოს ფუნქცია-მოვალეობა იყო. ახლა კი ეს ტვირთი მთლიანად მხარეებზეა გადასული და მათი მოვალეობაა წარმოადგინონ საკუთარი მტკიცებულებები და დაჰკითხონ მოწმეები. ასევე, მათ უნდა შეძლონ, რომ მათთვის არასასურველი მტკიცებულებები არ იქნეს განხილული. „თუ პროკურორი/ადვოკატი თავის საქმეს თავს ვერ გაართმევს, მტკიცებულებები და ჩვენება ვერასდროს მივა მოსამართლემდე ან ნათიც მსაჯულებამდე, რომლებმაც საქმე უნდა გადაწყვიტონ.“[38]

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა არის სისხლის სამართლის საპროცესო ფუნქცია და პროკურორის საქმიანობის ძირითადი მიმართულება, რომელიც პროკურორის მიერ სასამრთლოში განხორციელებული საპროცესო მოქმედებების ერთობლიობაა და მიმართულია დანაშაულის ჩადენაში პირის მხილებასა და მისი ბრალეულობის დამტკიცებისკენ. როგორც უკვე ვთქვით სასამართლოში, პროკურორი გამოდის სახელმწიფო ბრალმდებლის როლში, მხარს, უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, წარადგენს მტკიცებულებებსა და ამ მტკიცებულებების საფუძველზე ითხოვს პირის დამნაშავედ ცნობას

[38] შესავალი სიტყვა. დასკვნითი სიტყვა (სახელმძღვანელო იურისტებისათვის), ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2014, გვ. 13

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სხდომაზე, სხდომის თავჯდომარე თავდაპირველად ბრალდების მხარეს აძლევს უფლებას წარადგინოს ბრალდების შესავალი სიტყვა და სასამართლოს მიერ განესაზღვრება შესავალი სიტყვის წარმოთქმისთვის გონივრული ვადა. ,,ამ ეტაპზე არ შეიძლება არგუმენტაცია, მტკიცებულებების მოყვანა ან გაპროტესტება. შესავალი განცხადებების მიზანია გადმოსცეს საქმის ბრალდებისეული ვერსია ისთი სიცხადით, რომ დაარწმუნოს სასამართლო და ნაფიცი მსაჯულები, რომ სახელმწიფოს ძლიერი არგუმენტები აქვს საქმეში, მხოლოდ რაიმე ძლიერი უპირატესობის გამოვლენის გარეშე, რომლებიც შეიძლება ბრალდების მხარეს გააჩნდეს. პროკურორი უნდა გამოჩნდეს თავდაჯერებული და არა კადნიერი."[39] შესავალი სიტყვა არის პროცესის ის ეტაპი, როდესაც ბრალდების მხარე ახდენს პირველ შთაბეჭდილებას, განწყობას მოსამართლეს და ნაფიც მსაჯულებს. ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს პირველი შთაბეჭდილება და განწყობა გაჰყვებათ ნაფიც მსაჯულებს მთელი პროცესის განმავლობაში.

შესავალი სიტყვის წარდგენის შემდეგ იწყება მტკიცებულებათა გამოკვლევა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცსო კოდექსის მიხედვით მტკიცებულებების გამოკვლევას იწყებს ბრალდების მხარე, სასამართლო პირველ რიგში განიხილავს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. პროკურორი გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებების რიგითობასა და მოცულობას თვითონვე განსაზღვრავს, ხოლო რაც შეეხება მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცსს, ბრალდების მხარეს, ისევე როგორც დაცვის მხარეს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევაში. მტკიცებულებათ გამოკვლევის საკითხში, სასამართლოს არ ქვს უფლება მხარეს განუსაზღვროს თუ რა თანმიმდევრობით უნდა გამოიკვლიონ წარსადგენი

[39] სახელმძღვანელი იურისტებისათვის სასამართლო ექსპერტიზის, ექსპერტი მოწმის დკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა, გამომცმლობა „მერიდიანი", თბ. 2012, გვ. 227

მტკიცებულებები, თუმცა უფლებამოსილია მხარეებს განუსაზღვროს თუ რა ვადაში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი აღნიშნული მტკიცებულებების გამოკვლევა.

საქართველოს სისხლის სამართის საპროცესო კოდექსის 243-ემუხლის თანახმად, პროკურორს სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, შეუძლია მოითხოვოს დეპონირებული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა ან ვიდეოჩანწერის მოსმენა იმ შემთხვევაში თუ:

- ✓ მოწმე გარდაიცვალა
- ✓ არ იმყოფება საქართველოში
- ✓ მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამოწურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა გონივრული შესაძლბლობა

დეპონირებული ჩვენება არის მოწმის მიერ გამოძიების დროს მგისტრი მოსამართლისათვის მიცემული ჩვენება (დეპონირებული ლათინური სიტყვაა და ნიშნავს: დადებას, წინასწარ შეტნას).[40]

როდესაც მხარეები დაასრულებენ მტკიცებულებათა გამოკვლევას, სასამართლო განხილვის პროცესი გადადის შემდეგ ეტაპზე, რაც გულისხმობს მხარეთ მიერ გამოძახებულ მოწმეთა დაკითხვას. მოწმეთა დაკითხვასაც, ისევე როგორც მტკიცებულებათა გამოკვლევას, იწყებს პროკურორი, რომელიც მის მიერ გამოძახებულ მოწმეს პირდაპირი წესით დაკიხავს.

პირდაპირი დაკითხვა სასამართლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. დაკითხვის დროს პროკურორის ამოცანაა ყურადღების ცენტრში მოაქციოს მოწმე და უზრუნველყოს რომ მოსმართლე/ნაფიცი მსაჯულები ყურადღებით უსმენდნენ მას. მოწმის პირდაპირ დაკითხვას აწარმოებს ის მხარე რომელმაც ეს მოწმე გამოიძახა და ამასთან შეზღუდულია იმით, რომ მხარეს ეკრძალება მიმანიშნებელი კითხვების დასმა მოწმისათვის. პროკურორმა უნდა უზრუნველყოს რომ პირდაპირი დაკითხვა იყოს ისეთივე შმტბეჭდავი როგორც პროცესის სხვა ელემენტებია. პირდაპირი დაკითხვისგან განსხვავებით, პროკურორს

[40] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2015, გვ. 707

უფლება აქვს მიმანიშნებელი კითხვები დაუსვას მოწმეს, რომელიც მას არ გამოუძახებია, ანუ ჯვარედინი დაკითხვის დროს.

პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა არ არის ერთჯერადი აქტი, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლის შესაბამისად მხარეებს (მათ შორის პროკურორს) უფლება აქვთ აწარმოონ ხელხალი პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა. [41]

როდესაც დასრულდება მხარეთა მიერ სასამართლოზე გამოძახებულ მოწმეთა დაკითხვა, მხარეებს ეძლევათ საშუალება წარადგინონ დასკვნითი სიტყვა, რომელიც სასამრთლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ მტკიცებულებათა შეფასებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. დასკვნითი სიტყვა პროკურორის მიერ მოსამართლეზე/ნაფიც მსაჯულებზე შთაბეჭდილების მოხდენის ბოლო შესაძლებლობაა, ამიტომ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ პროკურორმა საკუთარი არგუმენტები ლოგიკურად და დამაჯერებლად წარმოადგინოს. სასამართლო პროცესის დასასრულს კი პროკურორი ითხოვს ბრალდებული პირის დამნაშავედ ცნობას მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.

დასკვნითი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ კი მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, რეპლიკის სახით მოკლედ წარმოთქვან საკუთარი აზრი და შენიშვნა, მოწინააღმდეგე მხარის მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებებზე. აღნიშნული რეპლიკის ჩამოყალიბების გონივრულ ვადას ადგენს სხდომის თავჯდომარე, რომელიც, როგორც წესი განისაზღვრება საშუალოდ 5-10 წუთით. რეპლიკის უფლებით მხარეები სარგებლობენ იმავე თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც წარმოთქვეს მათ დასკვნითი სიტყვა. ,,რეპლიკის უფლება მხარემ არ უნდა გამოიყენოს დასკვნითი სიტყვის ხელახლა ჩამოსაყალიბებლად ან მის შესავსებად, უკვე ნათქვამის თავიდან გასამეორებლად“.[42]

---

[41] ბ. მონიავა, და სხვ. საპროკურორო სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ. 2015, გვ. 229

[42] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2015, გვ. 718

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში, ნაწილი პროკურორებისა, ცდილობს შესავალ და დასკვითი სიტყვის წინასწარ მომზადებაზე დრო არ დაკარგონ და კმაყოფილდებიან მხოლოდ მოკლე და შაბლონურ სიტყვის ვარიანტით, რადგან თვლიან რომ პროცესის ამ სტადიებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მოსამართლეებისათვის, ვინაიდან მათ ყველაზე მეტად მტკიცებულებების გმოკვლევის ნაწილი აინტერესებს. ზოგიც მიიჩნევს რომ შესავალი და დასკვნითი სიტვის მომზადება, მხოლოდ ნაფიცი მსაჯულების მიერ განსახილველ სქმეებზე, არის აუცილებებლი.

სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის პროცესში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 230[1]-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში როცა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, სასამრთლო სხდომის თავჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, პრიოდულად - ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთი ღონისძიების სახით გმოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. აღნიშნული ორ თვიანი ვადა აითვლება წინასასამრთლო სხდომის მოსამართლის მიერ, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება გმოიყენება მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, რისი ვალდებულებაც უკვე პროკურორს აკისრია.

იმ შემთხვევაში როდესაც სასამართლო განიხილავს აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების საკითხს, პროკურორს ეკისრება ვალდებულება, დაამტკიცოს სასამართლოში რომ ის საფრთხეები - ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელისშეშლა, ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა და გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა, ისეთივე მაღალი სტანდარტით არსებობს, როგორც არსებობდა აღკვეთი ღონისძიების საკითხის განხილვის დროს.

2.4 საპროცესო შეთანხმება

თითოეული სისხლის სამართლის საქმე არსებითად უნდა განიხილოს სასამართლომ, მაგრამ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა განაჩენის გამოტანა საქმის არსებითი განხილვის გარეშე შეიძლება. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის

გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი ვალდებული, მხედველობაში მიიღოს საჯარო ინტერესი, დანაშაულისა და სასჯელის სიმძიმე და ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები.

აღნიშნული ინსტიტუტის ამოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული ვითარების დაძლევა ბრალდებულთან თანამშრომლობის გზით. საპროცესო შეთანხმება, ეს არის გარიგება პროკურორსა და ბრალდებულს შორის, რომლის თანახმადაც პროკურორი, ბრალის აღიარებისა და თავის დამნაშავედ ცნობის სანაცვლოდ, ბრალდებულს სთავაზობს სასჯელის იმაზე უკეთეს პირობებს, ვიდრე მას სასამართლო პროცესის გზით დაენიშნებოდამ, ანუ საპროცესო შეთანხმება არის შანსი ბრალდებულისთვის, თავი აარიდოს იმ სასჯელის რისკს, რომელიც შეიძლება ჩვეულებრივი სასამართლო პროცესით დაემუქროს. საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში სასამართლოს განაჩენი გამოაქვს საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

საპროცესო შეთანხმება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის შედარებით ახალი ინსტიტუტია, რომელიც მოქმდებს 2005 წლის იანვრიდან. „საპროცესო შეთანხმება მიზნად ისახავს სისხლისსამართლებრივი წარმოების გამარტივებას, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. 2008 წელს, პირველად, მისი გამოყენების მაჩვენებელმა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიაღწია 50%-იან ნიშნულს.“ [43]

საპროცესო შეთანხმება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია. საპროცსო შეთანხმებ არის შეთანხმება პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის, რომლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ბრალდებულის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების აღიარება. საპროცესო შეთანხმების პრინციპი მარტივია: იმ შემთხვევაში თუ ბრალდებული ბრალს აღიარებს, მის მიმართ ნაკლებად მკაცრი სანქცია იქნება გამოყენებული.

[43] ი. კოტეტიშვილი, საპროცესო შეთანხმება - შედარებითი მიმოხილვა, http://www.library.court.ge, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10/04/2019

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2014 წლის 24 ივლისამდე ითვალისწინებდა საპროცესო შეთანხმების ორ ფორმას:

- ✓ შეთანხმებას ბრალზე
- ✓ შეთანხმებას სასჯელზე

2014 წლის 24 ივლისს საქრთველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაუქმდა საპროცესო შეთანხმება სასჯელზე, რაც ნიშნვს, რომ თუ ბრალდებული ბრალს არ აღიარებს, მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება შეუძლებელია. ბრალის აღიარება საპროცესო შეთნხმების გაფორმების აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს საპროცესო შეთანხმების დამატებით პირობებს, რომლებიც ძირითად პირობასთან (ბრალის აღიარებასთან) ერთად უნდა იქნეს გამოყენებული.[44] ასეთი პირობებია:

- ✓ თანამშრომლობა
- ✓ ზიანის ანაზღაურება

ბრალის აღიარებასთან ერთად შესაძლებელია აღნიშნული პირობებიდან ერთ-ერთის გამოყენება, მაგრამ საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალის აღიარების გარეშე დაუშვებელია.

საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდების მხარეს ისე ბრალდებულსაც. საპროცესო შეთანხმება იდება მხოლოდ ზემდგომი პროკურორის ზერილობითი თანხმობითა და ბრალდებულის მხრიდან, ადვოკატის უშუალო მონაწილეობით. საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში პროკურორს ეკისრება ვალდებულება, წინასწარ განუმარტოს საპროცესო შეთანხმების პირობები და აუხსნას, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო თუ სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან. პროკურორი ასევე ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ. კერძოდ: რა შედეგს იწვევს საპროცესო შეთანხმების დამტკიცება, რა

[44] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2015, გვ. 633

შედეგებთან არის დაკავშირებული ბრალის აღიარება, სასჯელის რა სახე და ზომი იქნება ბრალდებულის მიმართ გამოყენებული, როგორი წესით გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი.

განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით და მოითხოვოს ბრალდებული სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს შუამგომლობას, სამოქალაქო პასუხისმგებლობა სახელმწიფოს დაეკისრება.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს შეუძლია მოითხოვოს სასჯელის შემცირება და პირის მიმართ წარდგენილი ბრალდების შემსუბუქება ან ნაწილობრივ მოხსნაც კი, საჯარო ინტერესებით ხელმძღვანელობის ფარგლებში. გადაწყვეტილებების მიღებისას პროკურორმა შემდეგი გარემოებები უნდა გაითვალისწინოს:

- ✓ სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები;
- ✓ ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე;
- ✓ დანაშაულის ხასიათი;
- ✓ ბრალდებულის ბრალეულობის ხარისხი;
- ✓ ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროება;
- ✓ ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები;
- ✓ ბრალდებულის ნასამართლობა;
- ✓ ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობა;
- ✓ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევა.[45]

საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე არსებითად აღარ განიხილება და მოსამართლეს განაჩენი გამოაქვს არსებითი განხილვის, მტკიცებულებათა უშაუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე.

[45] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2015, გვ. 634

მიუხედავად მხარეთა შეთანხმებისა და მათ შორის საპროცესო შეთანხმების დადებისა, სასამართლო არ არის ვალდებული მსჯლობის გარეშე დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება. სასამართლოს უფლება აქვს მხარეებს შესთვაზოს შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, ხოლო ბრალდებულს უმარტავს რომ უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე. სასამართლო გადაწყვტილებას იღებს კანონის საფუძველძე და მოსამართლე უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება, საქმის არსებითი განხილვის გრეშე განჩენის გამოტანის ან საქმის პროკურორისათვის უკან დაბრუნების და კანონით დადგენილი წესით საქმის არსებითი განილვის თაობაზე.

მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს სასამართლოს საქმის განხილვის შემდეგ სტადიებზე:

- ✓ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე
- ✓ წინასასამართლო სხდომაზე
- ✓ პირველი ინსტაციის სასამართლოში საქმის განხილვისას
- ✓ სააპელაციო განხილვისას
- ✓ საკასაციო განხილვისას [46]

საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანის თაობაზე შუამდგომლობას, მოსამართლეს წარუდგენს პროკურორი, მიუხედავად იმისა, ვისი ინიციატივით გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. „საქმის არსებითად განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობას ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი, აგრეთვე ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი ასეთის არსებობის შემთხვევაში.“ [47]

საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს გაზრდილია გამოძიების ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების დამტკიცების მაჩვენებელი. გაიზარდა პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მაჩვენებელი არსებითი განხილვის სხდომაზე საპროცესო

[46] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2015, გვ. 634

[47] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2015, გვ. 641

შეთანხმების დამტკიცების შემცირების პარალელურად. საპროცესო შეთანხმების ადრეულ ეტაპზე გაფორმების მაჩვენებელის ზრდა ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას და პროკურატურისა და სასამართო სისტემის ძალიან დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურს ზოგავს.[48] [იხ. დანართი 1]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებულს უფლება არ აქვს გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა პროკურორს ავალდებულებს დაზარალებულთან კონსულტანციის გავლას, საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე. დაზარალებულის უარი, საპროცესო შეთნხმების გაფორმებაზე, არსებითად დამაბრკოლებელი და ხელის შემშლელი ფაქტორი არ არის პროკურორისათვის, აღნიშნული დებულება ძალიან ბუნდოვანია, რადგან თუ დაზარალებულის უარის მიუხედავად საპროცესო შეთანხმების დადება მაინც შესაძლებებლია, მაშინ რაღატომ ხდება საჭირო დაზარალებულთან კონსულტაციის გავლა? იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინააღმდეგია, რჩება მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

[48] საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგარიში, 2018 წლის 06 თებერვლის მდგომარეობით, გვ., 14

თავი III. კვლევის შედეგები

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლის განსაზღვრა და მისი ორგანიზაციულ-პროცესუალურ საკითხების განხილვა. ნაშრომში განვიხილეთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და პროკურატურის შესახებ სქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, ძირითადი სახითხები პროკურორის როლთან დაკავშირებით.

ნაშრომის დასაწყისში განვიხილეთ პროკურატურის სისტემა და მოვახდინეთ პროკურატურის რეფორმის მოკლე ანალიზი 1995 წლის კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2018 წლიდან, როდესაც განხორციელდა პროკურატურის სისტემისადმი საბოლოო ცვლილება, არ შექმნილა და არ დამუშავებულა არც ერთი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელშიც ასახული და ჩამოყალიბებული იქნებოდა ის ცვლილებები რაც პროკურტურის სისტემამ განიცადა ბოლო რეფორმის შედეგად. 2017 წლის ანგარიშში [იხ. დანართი 3] ნათლად ჩანს საზოგადოების დამოკიდებულება პროკურატურის სისტემის მიმართ. საზოგადოების დიდი ნაწილი უნდობლობას უცხადებდა პროკურატურას და ეს უნდობლობის მიზეზი, პოლიტიკური ზეგავლენით აიხსნებოდა. ზუსტად აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად გახდა აუცილებელი 2018 წლის რეფორმა, რომლის მიხედვითაც პროკურატურა მთლიანად გამოეყო იუსტიციის სამინისტროსა და მთვრობას, რის შედეგადაც გახდა ერთიანი და ცენტრალიზებული სისტემა. ახალი რეფორმის შედეგად პროკურატურის სისტემა გახდა მთლიანად დამოუკიდებელი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. შეიძლება ითქვას რომ აღნიშნული რეფორმით, არსებული პრობლემა აღმოფხვრილია.

წარმოდგენილ ნაშრომში, შევეხეთ არასრულწლოვანთა პროცესში მონაწილე პროკურორის უფლება მოსილებასაც. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი. აღნიშნულ შემთხვევაში, სრულწლოვნისაგან განსხვავებით, როდესაც პროკურორი გამოდის სახელმწიფო ბრალმდებლის როლში არასრულწლოვანთა პროცესზე, უნდა ჰქონდეს გავლილი სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულებაში, მაგრამ დაცვის მხარისგან განსხვავებით, პროკურორს არ გააჩნია კანონის მხრიდან დაკისრებული ვალდებულება, რომ პროცესზე წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. შეჯიბრობითობის პრინციპის ფონზე, აღნიშნული თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს ხარვეზს, ვინაიდან თუ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები და ვალდებულებები კანონის წინაშე. თუ კანონი პირდაპირ ავალდებულებს ადვოკატს, რომ არასრულწლოვანთა საქმის განხილვის პროცესში უნდა წარადგინოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე უნდა მოიქცეს პროკურორიც, რადგან დაცვის მხარეს შეეძლოს, თავისი დასაცავი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, დროულად გადაამოწმოს დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნა და გავლილი აქვს თუ არა, პროცესში მონაწილე პროკურორს, სპეციალური გადამზადების კურსი.

წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია საპროცესო შეთანხმებაზე. აღნიშნული ინსტიტუტი, როგორც უკვე ვახსენეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის შედარებით ახალი ინსტიტუტია, რომელიც მოქმდებს 2005 წლის იანვრიდან. საპროცესო შეთანხმება მიზნად ისახავს სისხლისსამართლებრივი წარმოების გამარტივებას, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. მართალია, საქართველოს მთავარი პროკურატურის ანგრიშის მიხედვით საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი წლიდან წლამდე იზრდება, რაც მის ეფექტურ მუშაობაზე მეტყველებს, მაგრამ არის ერთი ხარვეზი, რომლის მიხედვითაც, დაზარალებული საპროცესო შეთანხმების გაფორმების გასაჩივრების უფლებასაა მოკლბული. საპროცსო შეთანხმების დადებით უკმაყოფილო დაზარალებულს, რჩება მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებულს უფლება არ აქვს გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა პროკურორს ავალდებულებს დაზარალებულთან კონსულტაციის გავლას, საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაზარალებულის უარი, საპროცესო შეთნხმების გაფორმებაზე, არსებითად დამაბრკოლებელი და ხელის შემშლელი ფაქტორი არ არის პროკურორისათვის. რჩება კითხვა, თუ დაზარალებულის უარის მიუხედავად, საპროცესო შეთანხმების დადება მაინც არის შესაძლებებლი, მაშინ რაღატომღა ხდება საჭირო დაზარალებულთან კონსულტაციის გავლა? მართალია საპროცესო შეთანხმება, პროკურატურისა და სასამართო სისტემის ძალიან დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურს ზოგავს, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს დაზარალებულის უფლების შეზღუდვის ხარჯზე. დაზარალბულს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ მის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ჩამდენი პირი სათანადოდ და სამართლიანად დაისჯება კნონის წინაშე და არ იქნება მის მიმართ გამოყენებულია რაიმე სახის შეღავათი მისი თანხმობის გარეშე.

დასკვნა

აღნიშნული ნაშრომით შევეცადეთ სრულყოფილად წარმოგვეჩინა პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალდებულის უფლება მოვალეობები სასამართლო პროცესზე და მასთან დაკავშირებული საკითხები. მიმოვიხილეთ სახელმწიფო ბრალმდებლის საპროცესო ფუნქციების განხორციელების წესები. აღნიშნული თემის დამუშავების პროცესში ყურადღება გავამახვილეთ ასევე პროკურატურის სტრუქტურასა და რეფორმებზე.

ნაშრომის სრულყოფილად გაანალიზება-ჩამოყალიბების პროცესში გამოიკვეთა ლიტერატურის ნაკლებობის პრობლემა. როგორც აღნიშნულ თემაში ვისაუბრეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ და მასთან ერთად პროკურატურის სისტემამ, ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე განიცადა რეფორმა. პროკურატურის სისტემის საბოლოო რეფორმა კი მოხდა 2018 წელს, როდესაც პროკურატურა გამოეყო სახელმწიფო სტრუქტურებს და გახდა სრულიად დამოუკიდებელი, ერთიანი და ცენტრალიზებული სისტება. აღნიშნულის გათვალისწინებით, დღეისათვის ჯერ-ჯერობით არ შექმნილა დამუშავებული ლიტერატურა, რომელშიც მოხდებოდა იმ ცვლილებების აღწერა-ჩამოყალიბება, რაც მოყვა პროკურატურის სისტემის ბოლო რეფორმებს.

მიუხედავად რეფორმისა პროკურატურის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობა უცვლელი დარჩა, კერძოდ; პროკურატურა კვლავ ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობასა და მისი ერთ-ერთი მთავარი ფუქნქცია კვლავ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა წარმოადგენს. განსხვავებაა ისაა, რომ 2018 წლის 30 ნოემბრის ორგანული კანონის მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, პროკურატურას სხვა, დამატებითი ფუნქიცებიც დაეკისრა, მაგალითად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია.

ნაშრომში მოკლედ შევეხეთ ასევე, პროკურატურის სისტემის საქმიანობას საზღვარგარეთის ქვეყნებში, ვინაიდან პროკრატურის საქმიანობის წარმოჩენა არ

იქნებოდა სრულყოფილი, თუ არ განვიხილავდით საზღვარგარეთის ქვეყნების მოდელსაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომში მოკლედ ვისაუბრეთ საფრანგეთის ინგლისისა და გერმანიის პროკურატურის საქმიანომის მიმართულებები და სისტემა.

ნაშრომის მთავარ თემას წარმოადგენს პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლს ქართულ სისხლისსამართალწარმოებაში. როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, პროკურორის ფუნქცია-მოვალეობაში შედის სისხლისსმართლებრივი დევნის განხორციელება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სრულად ჩაატაროს გამოძიება, სასამართლოში გამოვიდეს როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი და მხარი დაუჭიროს ბრალდებას. აღნიშნულის განსახორიელებლად კი პროკურორი ემორჩილება მხოლოდ კანონს.

სახელმწიფო ბრალმდებლის მოვალეობის განხორციელების ფარგლებში, პროკურორი სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებებს რომლებიც როგორც უკვე ვთქვით მიმართულია პირის ბრალეულობის დასამტკიცებლად. ასევე იძახებს სისხლის სამართლის საქმისათვის საჭირო მოწმეებს და აწარმოებს მათ დაკითხვას. მონაწილეობას იღებს დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევასა და გამოძახებული მოწმეების დაკითხვაში, აწარმოებს მათ ჯვარედინ დაკითხვას.

გარდა ჩამოთვლილი უფლება-მოვალეობებისა, ნაშრომში გავამახვილეთ ყურადღება არასრულწლოვანთა პროცესზე, როდესაც პროკურორს კანონით დადგენილი წესით მოეთხოვება სპეციალური გადამზადების კურსისა და ინსტრუქტაჟის გავლა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში. ასევე საუბარია საპროცესო შეთანხმებაზე, რომელმაც წარმოდგენლი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საკმაოდ გამართლებული ინსტიტუტი გამოდგა საქართველოს სამართალწარმოებისთვის.

თემის გაანალიზების პროცესში თავი იჩინა რამდენიმე პრობლემამ, კერძოდ: ეს იყო საზოგადოების დამოკიდებულება პროკურატურის სისტემისადმი, რომლის გამოსწორებისაკენაც იყო მიმართული ბოლო, 2018 წლის რეფორმა, როდესაც

პროკურატურა გამოეყო იუსტიციასა და მთავრობას და გახდა დამოუკიდებელი. ასევე გავამახვილეთ ყურადღება, საპროცესო შეთანხმებაზე, როდესაც დაზარალებულს უფლება არ აქვს უკმაყოფილების შემთხვევაში გაასაჩივროს აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებამდე, პროკურორი ვალდებულია დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვეცადე ამომწურავად ჩამომეყალიბებინა წარმოდეგენილი თემის მთავარი საკითხი და სრულყოფილად წარმომეჩინა ბრალდებულის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლი ქართულ სისხლის სამართალწარმოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. აბაშიძე გ., პროკურორი გამოძიების სტადიაზე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2012;
2. აბაშიძე გ., სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც პროკურორის ფუნქცია და მისი განხორციელება გამოძიების სტადიზე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2018;
3. ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა, შესავალი სიტყვა. დასკვნითი სიტყვა (სახელმძღვანელო იურისტებისათვის), გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2014
4. ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა, სახელმძღვანელი იურისტებისათვის სასამართლო ექსპერტიზის, ექსპერტი მოწმის დკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახებ, გამომცმლობა „მერიდიანი“, თბ. 2012,
5. ბოხაშვილი ი., მ. ბენიძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, ჟურნალი „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2009;
6. გვასალია თ., იმნაძე გ., პროკურატურის სისტემის რეფორმა (საკონსტიტუციო ცვლილებებთან კანონმდებლობის ჰარმონიზაცია), გამომეცემლობა „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2018;
7. დეკანოზიშვილი გ., დაკითხვის თანამედროვე პრობლემები სისხლისსამართალწარმოებაში და კრიმინალისტიკაში, სამართის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2009;
8. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2014;
9. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი (მეხუთე გადამუშავებული და შვსებული გამოცემა), თბ., 2014;
10. მონიავა პ., და სხვ., საპროკურორო სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2015;

11. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2008;
12. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო) მეორე გამოცემა, თბ., 2016;
13. ჭანტურიძე გ., საპროცესო შეთანხმების აქტუალურ საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, თბ.2007;
14. ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმების სახელმძღვანელო მითითებები, ქართული თარგმანი - გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ., 2013;

უცხოური ლიტერატურა

15. М. С Строгович, Уголовное преследование в советском уголовном процессе, Мс., 1951;

სასამართლო პრაქტიკა

16. BARBERÀ, MESSEGUÉ AND JABARDO v. SPAIN, (Application no. 10590/83);

ნორმატიული აქტები

17. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი;
18. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015, (ახ.რედ.);
19. საქართველოს კონსტიტუცია, 1995, (ახ.რედ.);
20. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, (ახ.რედ.);
21. საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურისშესახებ, 2018 წლის 30 ნოემბერი, (ახ.რედ.);
22. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, 1999, (ახ.რედ.);

23. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგ., ავტ. კოლექტივი, თბ., 2015;

ვებ. გვერდები

24. https://emc.org.ge/ka;
25. http://coalition.ge;
26. http://www.library.court.ge;
27. https://www.undp.org;
28. http://gtu.ge;
29. https://ru.wikipedia.org;
30. https://www.transparency.ge;
31. https://hudoc.echr.coe.int;

შენიშვნა:

1. **დანართი** 1-ის სახით წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქართველო მთავარი პროკურატურის ანგარიშიდან;

2. **დანართი 2**-ის სახით წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები აღებულია „ეისითის“ მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მომზადებული ანგარიშიდან;

დანართები

დანართი 1.


საპროცესო შეთანხმების გაფორმების სტადიები
2014 წელი
2015 წელი
2016 წელი
2017 წელი
პირველი წარდგენის სხდომაზე
36%
39.7%
44.4%
51.2%
არსებითი განხილვის სხდომაზე
38.7%
40.2%
36.5%
32%
წინასასამართლოს სხდომაზე
12.7%
10%
10.1%
8.6%
პირველი წარდგენიდან წინასასამართლო სხდომამდე
12.6%
10.1%
9%
8.2%

დანართი 2.


თქვენი აზრით, ასრულებს თუ არა საქართველოს პროკურატურა პოლიტიკურ დაკვეთას?
თბილისი
ქალაქი
სოფელი
არ ასრულებს
7%
11%
14%
ზოგჯერ ასრულებს, საქმის შინაარსის მიუხედავად
16%
17%
16%
ზოგჯერ ასრულებს, მხოლოდ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით
25%
16%
14%
ყოველთვის ასრულებს, მხოლოდ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით
8%
8%
5%
ყოველთვის ასრულებს, საქმის შინაარსის მიუხედავად
6%
7%
5%
არ ვიცი/მიჭირს პასუხი
37%
40%
46%
N=1271
N=1360
N=2371